505/389/2

ISSN 0203-2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 1

1989

ეკ/585/2

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 1 (582) იანვარი 1989 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი


გაგრძელება პირველი

1. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის დადგენილება **საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის)** ცვლილებებისა **და** დამატებების **შესახებ** საქართველოს **სსრ** კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების **შესახებ** საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა აქტიურობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის **პროექტების მომზადების** თაობაზე.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბოლნისის რაიონის რაზისუბნისა და რატევნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების **ალმასკომების შექმნის** შესახებ.
3. **საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის ბრძანებულება** საქართველოს სსრ **უცხოეთის ტურიზმის** მთავარი **სამმართველოს** გაუქმების **შესახებ.**
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ხ. კონცელიძის **საქართველოს სსრ** სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან **განთავისუფლების** შესახებ.
5. **საქართველოს** სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის ბრძანებულება** საქართველოს სსრ **სახელმწიფო** არბიტრაჟის **შემადგენლობაში** ცვლილებების **შესახებ.**
6. **საქართველოს** სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის ბრძანებულება** საქართველოს სსრ **მინისტრთა** საბჭოს **შესახებ საქართველოს** სსრ **კანონის 34-ე** მუხლში **ცვლილებების** შეტანის **თაობაზე.**

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ვ. ბელიავსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ს. დარსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. დემურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. მ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ა. მინასიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ვ. პოპოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. ფირცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
16. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. ე. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ც. ვ. ხუბულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. როგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. იაკოველიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ვ. რევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განიხილეზა მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

19.243

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მაჯ. ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**1 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მომზადების თაობაზე**

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მოსამზადებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**კომისიის თავმჯდომარე**

ჯ. ი. პატიაშვილი.

**კომისიის წევრები:**

1. ვ. ს. ადვაძე
2. ბ. ვ. ადლეიბა
3. ა. დ. ალექსიძე
4. ლ. ა. ალექსიძე
5. ე. დ. ამაშუკელი
6. ზ. ი. ანჯაფარიძე
7. ი. ო. ანდრიაძე
8. გ. ა. ანჩაბაძე
9. ა. მ. აფაქიძე
10. ბ. გ. გილაშვილი
11. მ. ა. გოგორიანი
12. შ. ვ. გორგოძე
13. გ. გ. გუმბარიძე
14. დ .დ. დიასამიძე
15. გ. ხ. ეჩირიძე
16. გ. ნ. ენუქიძე
17. ო. გ. ვარძელაშვილი
18. ლ. გ. თალაკვაძე
19. გ. ზ. ინწკირველი
20. თ. შ. კაბულოვა
21. ა. ი. კვესაძე
22. ა. გ. კარანაძე
23. ა. ა. კაჩმაზოვი
24. ვ. ა. კვარაცხელია
25. ვ. ო. კობახია
26. გ. გ. კუხალეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. გ. დ. ლორთქიფანიძე
28. ჯ. ვ. მარგველიძე
29. ბ. დ. მახარაშვილი
30. გ. დ. მგელაძე
31. ნ. ა. მემანიშვილი
32. გ. ა. მეტონიძე
33. ბ. ვ. ნიკოლსკი
34. თ. გ. ნინიძე
35. ვ. ა. ოყროშიძე
36. ა. ვ. პაპუაშვილი
37. ვ. ა. რაზმაძე
38. ი. ნ. როდიონოვი
39. ნ. რ. სიჯაია
40. ვ. მ. სირაძე
41. დ. ვ. სტურუა
42. ნ. ა. ფოფხაძე
43. ლ. ლ. ღოღობერიძე
44. გ. ა. ყანჩელი
45. შ. მ. ყულიევი
46. თ. გ. შავგულიძე
47. ვ. ა. შარაშენიძე
48. ე. ნ. შენგელაია
49. ა. გ. ჩეხოევი
50. ო. ე. ჩერქეზია
51. ი. პ. ჩიქოვანი
52. ზ. ა. ჩხეიძე
53. პ. პ. ჩხეიძე
54. თ. ნ. ჩხეიძე
55. ი. ნ. ციცეშვილი
56. ნ. ა. ჭითანავა
57. მ. მ. ხანანაშვილი
58. ს. მ. ჯორბენაძე.

2. კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტები გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას არა უგვიანეს 1989 წლის 15 თებერვლისა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას საქართველოს სსრ კანონების პროექტებზე მუშაობის დამთავრების შემდეგ ისინი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 25 თებერვლამდე.

4. მოწონებულ იქნეს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონების პროექტების მოსამზადებლად მუშაობის წესის შესახებ. (ერთვის დედანს).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 12 იანვარი.
№ 2078—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 2 ბოლნისის რაიონის რაჭისუბნისა და რატევნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და რესპუბლიკის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ამოწურვამდე, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს შექმნას რაჭისუბნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი 9 დეპუტატის, ხოლო რატევნის სასოფლო საბჭოს აღმასკომი 8 დეპუტატის შემადგენლობით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 16 იანვარი.**
**№ 2079—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 3 საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 20 იანვარი.**
**№ 2082—XI**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 4 ამხ. რ. ხ. კონცელიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. რესან ხასანის ძე **კონცელიძე** საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 20 იანვარი.
№ 2083—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 5 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. თეიმურაზ ახმედის ძე **ბაგილი** საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად.

განთავისუფლდეს ამხ. ლილიანა დიმიტრის ასული **კორძაია** საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 იანვარი.
№ 2085—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253; 1981 წ., № 2, მუხ. 30) 34-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 34.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატი

საქართველოს სსრ მთავრობის აპარატი შედგება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოსაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც შედგება განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, წარმართავს მათ მუშაობას, ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველ საკითხებს და უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შედის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 იანვარი.
№ 2086—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 7 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ხალხის გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

ზაზა ვახტანგის ძე **გოგოლაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო ნაწილის სასწავლო ცენტრის უფროსი მეხანძრე.

მერაბ იოსების ძე **ჭანკოტაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სასწავლო ცენტრის ყარაულის უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 5 იანვარი.
№ 2066—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 8 **საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ**

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“**

ალექსანდრე შალვას ძე **ნიჟარაძეს** — სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორს.

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**

ამირან ისმაილის ძე **გირგვლიანს** — ზოგადი ფორტეპიანოს კათედრის გამგეს.

ბენიამინ იაკობის ძე **გურევიჩს** — მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანს.

ვალერიან ალექსანდრეს ძე **მაღრაძეს** — მუსიკის თეორიის კათედრის დოცენტს.

რევაზ არონის ძე **ტაკიძეს** — საოპერო მომზადების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

თეიმურაზ ვახტანგის ძე **ახობაძეს** — სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის უფროს მასწავლებელს.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ბოლაშვილს** — საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის დეკანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა გალაქტიონის ასულ **გოგლიჩიძეს** — ვოკალის ფაკულტეტის დოკანს.

ლარისა ნიკოლოზის ასულ **კოვალენკოს** — საკონცერტმაისტერო დაოსტატების კათედრის კონცერტმაისტერს.

ნესტან აპოლონის ასულ **მესხს** — სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის უფროს მასწავლებელს.

გიორგი გიორგის ძე **ტოროშელიძეს** — კამერული ანსამბლის კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2077—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 9 ამხ. ს. ვ. ბელიავსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. სვეტლანა ვლადიმერის ასული **ბელიავსკაია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2072—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 10 ამხ. ბ. ს. დარსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ბორის სილოვანის ძე **დარსაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2073—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 11 ამხ. გ. გ. დემურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გულნარა გრიგოლის ასული **დემურია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2075—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 12 ამხ. ე. მ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ეთერ მიხეილის ასული **თოფურია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2071—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 13 ამხ. ე. ა. მინასიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ემილ არამის ძე **მინასიანი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2076—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 14 ამხ. რ. ვ. პოპოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. როზა ვასილის ასული **პოპოვა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 ივნისი.
**№ 2068—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 15 ამხ. ა. ვ. ფირცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ფირცხალავა** **დაჯილდოდეს** **საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **საპატიო** **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 ივნისი.
**№ 2074—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 16 ამხ. ძ. ე. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ქეთევან ევგენის ასული **ჯაფარიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **საპატიო** **სიგელით.**

**საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **თავმჯდომარე** **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 ივნისი.
**№ 2069—XI**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 17 ამხ. ე. ვ. ხუბულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ცისანა ვალერიანის ასული **ხუბულავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 6 იანვარი.
№ 2070—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 18 ამხ. ა. ვ. როგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ,საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ამირან ვალერიანის ძე **როგავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 9 იანვარი.
№ 2080—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 19 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მამაცობისა და დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

დავით პავლეს ძე **ბარათაშვილი** — მილიციის უმცროსი სერჟანტი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელი.

ალექსანდრე მიხეილის ძე **დეკანოიძე** — მილიციის უმცროსი სერჟანტი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელი.

ავთანდილ გივის ძე **ფოცხვერაშვილი** — მილიციის უფროსი სერჟანტი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაგულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 30 იანვარი.**
**№ 2089—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 20 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მამაცობისა და დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ვიქტორ ივანეს ძე **ლანცეტოვი** — პოდპოლკოვნიკი.

ვიქტორ პეტრეს ძე **მახარინეცი** — მაიორი.

ვლადიმერ ეფიმის ძე **ონიპკო** — მაიორი.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **პერეტიატკო** — მაიორი.

გენადი დიმიტრის ძე **რეხნოვი** — მაიორი.

ალექსეი ალექსანდრეს ძე **სემანინი** — პოდპოლკოვნიკი.

ალექსანდრე ვალენტინის ძე **ხოიმინოვი** — კაპიტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლი ივანეს ძე უკოლოვი — პოლკოვნიკი.
ლეონიდ იაკობის ძე ჩერვოტკინი — პოლკოვნიკი.
ნიკოლოზ ივანეს ძე ჩეხოვი — პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 30 იანვარი.
№ 2090—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**21** ამხ. ლ. გ. იაკოვლევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ლიდია გიორგის ასული იაკოვლევა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 იანვარი.
№ 2093—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**22** ამხ. ბ. ვ. რევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ბარბარე ვლადიმერის ასული რევიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 იანვარი.
№ 2092—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის და მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიების გაერთიანებული სხდომა. განხილულ იქნა საკითხი „რესპუბლიკაში შავი ზღვის სანაპიროს დასაცავად სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“ ზემომითითებული კომისიების 1988 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღინიშნა, რომ შავი ზღვისპირეთის პლაჟებისა და მისი სანაპირო ზოლის ლანდშაფტის აღდგენისათვის რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს. აფხაზეთსა და აჭარაში აღდგენილია 60 კილომეტრზე მეტი ნაპირდამცავი მსხვილმარცვლოვანი პლაჟები. წარმატებით მიმდინარეობს ქ. ფოთის წვრილმარცვლოვანი პლაჟის აღდგენა და სანაპირო ლანდშაფტის კეთილმოწყობა.

ამასთან ერთად სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს ფარგლებში ზღვისმიერი ეროზიისაგან ნაპირების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის დასახული პროგრამის შესრულების დაჩქარებას.

წლების მანძილზე ირღვევა ობიექტების ამოქმედების ვადები. („საქაგროშენის“ № 75 მოძრავი მექანიზებული კოლონა, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ტრესტ „ჰიდრომექანიზაციის“ სამშენებლო სამმართველო, ტრესტ „ნოვოროსისკმორსტროო“ და სხვ.). შავი ზღვის აუზის მდინარეებიდან კვლავ დიდი რაოდენობით იღებენ პლაჟწარმომქმნელ მასალას. 1987—1988 წლებში საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ასეთი 120-ზე მეტი შემთხვევა აღნიშნა. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა სპორტკომპლექს „გურიას“ მშენებლობისათვის ლანჩხუთის რაიონის სოფ. გრიგოლეთის ზღვისპირა ზონიდან 60-70 ათასი კუბ. მ. ქვიშის ამოღება, რამაც გამოიწვია ნატანი მასალის დეფიციტი და დააჩქარა ნაპირის ინტენსიური წარეცხვა-ნგრევის პროცესი. გრძელდება მდ. ჭოროხიდან დიდი რაოდენობით ინერტული მასალების ამოღება, რაც წარეცხვის საშიშროებას უქმნის აჭარის ზღვის სანაპიროებს. გულრიფშის რაიონში ვოლგის საავტომობილო ქარხნის სანატორიუმის მშენებლობისათვის ადგილის არასწორმა შერჩევამ ახლად აშენებული ნაგებობა დანგრევის საშიშროების წინაშე დააყენა.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვას“ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესასრულებლად არა აქვს სათანადო სამუშაო პირობები. გაერთიანების საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო განიცდის სამუშაო ფართის, მანქანა-იარაღებისა და მოწყობილობის მწვავე დეფიციტს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებათა შესრულება მდ. ენგურის გაუწყლოებული კალაპოტის რაციონალური ათვისების, ხელოვნური ლანდშაფტის შექმნისა და მსხვილი საკურორტო მეურნეობის განვითარების შესახებ. დაბალია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიების 1983 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების საქმეში. გადაწყვეტილების 7 მუხლიდან არ სრულდება მე-2, 3, 4, 5 მუხლები, რომლებიც შეეხება რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ობიექტები განლაგებულია შავი ზღვის 3 კმ-იან ზოლში ან პლაჟების ცალკეული უბნები სარგებლობისათვის მათზეა მიმაგრებული — წილობრივი მონაწილეობა მიიღონ სანაპიროს გამაგრების ღონისძიებების განხორციელებაში; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს — შავი ზღვის შტორმებისაგან რკინიგზის ხაზის დამცავი ნაგებობების მშენებლობასა და რემონტთან ერთად გაამაგროს ამ ნაგებობათა მიმდებარე ნაპირები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ არ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნა საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის ნაპირგამაგრებითი და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარებაში იმ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის მიზნით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფის შესახებ, რომელთაც შავი ზღვის სანაპირო ზოლში გააჩნიათ საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებები.

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროს დაცვისა და მისი ლანდშაფტის აღდგენის პრობლემების გადასაწყვეტად დასახული პროგრამის შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის და მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა საჭირო რჩევა მისცეს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის რაიონული და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთის ზონაში განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებს, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვას“, ბათუმის, ფოთის ნავსადგურების ხელმძღვანელებს, შავი და კასპიის ზღვების აუზების წყალსატევებში დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვების სრული შეწყვეტის განსახორციელებელი სამუშაოების კოორდინაციის მიზნით შექმნილ მუშა ჯგუფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიების მასალები და რეკომენდაციები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ თავის სხდომაზე მოისმინა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ. ლომაიას ანგარიში მშენებლობისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის „1986—1990 წლებში თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღინიშნა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტმა და უწყებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად. ამასთან ერთად, კომისიამ აღნიშნა, რომ ამ საქმეში კვლავ არის მთელი რიგი ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მმშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ არასაკმარისად ჩათვალა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობა მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 იანვრის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

რეკომენდაცია მიეცათ:

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებას და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების უცილობელ განხორციელებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტს — უმოკლეს ვადაში განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობათა ვადების ნორმატივების, დასაცავად და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; უზრუნველყოს მშენებარე ობიექტების რითმული მომარაგება სამშენებლო მასალებითა და შრომითი რესურსებით; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საბინაო-კომუნალურ მშენებლობათა ხაზით დავალებების უთუო შესრულებას, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დარგის გათვალისწინებული ობიექტების დადგენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადებში ამოქმედებას; განავითაროს სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაარქაროს იმ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომელთა მშენებლობაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების ფორმირებისას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოუყოს კაპიტალდაბანდებათა ლიმიტები იმ მოცულობებით, რაც უზრუნველყოფს დადგენილებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულებასა და ადრე დაშვებული გარღვევების აღმოფხვრას.

სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე დაისვა საკითხი მიიღონ შესაბამისი ზომები თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის დადგენილებით განსაზღვრული მოცულობებით, წილობრივი მონაწილეობის წესით, კაპიტალდაბანდებათა გადასაცემად და ამ საქმეში ადრე დაშვებული გარღვევის დასაფარავად; უზრუნველყონ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ობიექტის მშენებლობის დაწყება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ თავისი სხდომა მიუძღვნა **ეკონომიკური პროფილის მქონე** კადრებით რესპუბლიკის **აგროსამრეწველო კომპლექსის დაკომპლექტების** მდგომარეობას.

რჩევა მიეცათ:

**საქართველოს** სსრ **სახელმწიფო** აგროსამრეწველო **კომიტეტს** — მიაღწიოს, რომ სისტემის შესაბამისმა ორგანოებმა ადგილებზე შეიმუშაონ დარგის მაღალკვალიფიციური ეკონომიკური განათლების მქონე კადრებით უზრუნველყოფის ორგანიზაციული ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი მომზადება-გადამზადების დროს საიჯარო ურთიერთობათა გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების სწავლებას; მეტი ყურადღება დაუთმოს სისტემის ობიექტების უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტების საქმეს, ადგილებზე დამკვიდრების მიზნით მათთვის საჭირო შრომის, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

**საქართველოს** სსრ სახალხო განათლების სამინისტროს — **რესპუბლიკის** უმაღლეს და საშუალო **სპეციალურ** სასწავლებლებში აამაღლოს ეკონომიკური სპეციალობის კადრების მომზადების დონე.

**რესპუბლიკის** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და აგროსამრეწველო გაერთიანებებს — განახორციელონ ღონისძიებანი **აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში** დასაქმებული **ეკონომიკური** განათლების მქონე კადრებისათვის საჭირო სოციალურ-კულტურული პირობების **შესაქმნელად.**